ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6068131

ნომერი: AR1906046

თარიღი : 10.07.2022

გაცემის თარიღი : 04.08.2022

გაცნობის თარიღი : 05.08.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა, N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ლაზარიაშვილი პ/ნ 01026017338
- თბილისი მ. და ა.ბალანჩივაძეების ქ. N 31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4819295 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 11 ივნისს №AR1906046 განცხადებით მომართა ირაკლი ლაზარიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 13

იანვრის №4819295 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4819295 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ი. ცურტაველის ქ. №15-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.18.04.014.005) სასტუმროს არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 24 მაისის №5953382 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 24 მაისიდან 2024 წლის 24 მაისის ჩათვლით.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4819295 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, სასტუმროს ნომრების ფართობი 539.04 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 531.8 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 91.8 კვ.მ-ის ნაცვლად 92.0 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 309.1 კვ.მ-ის ნაცვლად 279.6 კვ.მ., საერთო ფართობი 1041.04 კვ.მ-ის ნაცვლად 1259.2 კვ.მ. ასევე, მოთხოვნილია ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამხმარე ფართობის (355.8 კვ.მ.) დამატება და ასევე, სასაწყობე (91.5 კვ.მ.) და მანსარდის ფართობის (9.6 კვ.მ.) ამოღება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმებზე ფართობების გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4819295 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამატებულ იქნას დამხმარე ფართობი: 355.8 კვ.მ., ხოლო, ამოღებულ იქნას სასაწყობე (91.5 კვ.მ.) და მანსარდის ფართობი (9.6 კვ.მ), ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში სასტუმროს ნომრების ფართობად დაფიქსირდეს: 531.8 კვ.მ., საზაფხულო ფართობად: 92.0 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 279.6 კვ.მ., საერთო ფართობად: 1259.2 კვ.მ.
2. სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4819295 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4819295 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4819295 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.